საქართველოს უძრავი ქონების ეროვნული ასოციაციის

განათლების და სერტიფიცირების კომიტეტის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. საქართველოს უძრავი ქონების ეროვნული ასოციაციის (შემდგომში "ასოციაცია") განათლების და სერტიფიცირების კომიტეტი (შემდგომში "კომიტეტი") წარმოადგენს ასოციაციის მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც შექმნილია ასოციაციის წესდების 5.18 3 პუნქტის შესაბამისად.

1.2. კომიტეტის საქმიანობის წესს (დებულებას) ამტკიცებს საქართველოს უძრავი ქონების ეროვნული ასოციაციის მმართველთა საბჭო და ეს დებულება კომიტეტის წევრებს ავალდებულებს მასში გათვალისწინებული წესების დაცვას.

1.3. კომიტეტი უფლებამოსილებას იწყებს წინამდებარე დებულების დამტკიცებისთანავე.

მუხლი 2. კომიტეტის საქმიანობის მიზანი

კომიტეტის მიზანია, უზურნველყოს, უძრავი ქონების სფეროში საგანმანათლებლო პროექტების შემუშავება და დასამტკიცებლად ასოციასიის მმართველთა საბჭოს სხდომაზე გატანა; ასევე, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა, რათა კომიტეტის მიერ ჩასატარებელ პროექტებში აქტიურად მოხდეს მათი წარმომადგენლების ჩართვა და პროექტის წარმატებით ჩასატარებლად ერთობლივი რესურსების გამოყენება; ამასთან, უძრავი ქონების სფეროში, დანერგოს და განავითაროს საქართველოს საზღვრებს გარეთ უკვე არსებული საგანმანათლებლო სიახლეები;

მუხლი 3. კომიტეტის ამოცანები და საქმიანობა

3.1. კომიტეტის ამოცანებია:

3.1.1. უძრავი ქონების სფეროში საგანმანათლებლო პროექტების შემუშავება დამტკიცებული პროექტების განხორციელების მიმდინარეობისას ჩართულობა;

3.1.2. კომიტეტის მიზნებიდან გამომდინარე ისეთ ორგანიზაციებთან ურთიერთობა, რომლებთანაც თანამშრომლობა ნაყოფიერი იქნება პროექტების განხორციელებისთვის;

3.1.3. საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან შესაბამისი მემორანდუმების და პროექტების განხორციელების პროცესში მათი ჩართულობის უზრუნველყოფა;

3.1.4. ქვეყნის საზღვრებს გარეთ არსებული საგანმანათლებლო სიახლეების ქვეყნის შიგნით დანერგვა და განვითარების ხელშეწყობა;

3.2. თავისი ამოცანების განსახორციელებლად კომიტეტი:

3.2.1 შეიმუშავებს წინადადებებს, რეკომენდაციებს, პროექტებს მისი ამოცანებისა და მიზნების გათვალისწინებით და მათ წარუდგენს ასოციაციაციის პრეზიდენტსა და მმართველთა საბჭოს;

3.2.2 ასრულებს ნებისმიერ სხვა საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია მისი მიზნებისა და ამოცანების განხორციელებასთან და არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობასა და ასოციაციის წესდებას.

მუხლი 4. კომიტეტის შემადგენლობა

4.1. კომიტეტი შედგება სულ მცირე 5 წევრისაგან, რომლებიც აირჩევიან 1 წლის ვადით. შესაძლებელია კომიტეტის წევრის ხელახალი არჩევა.

4.2. კომიტეტში გაწევრიანების უფლება აქვს ასოციაციის ნებისმიერი წევრი კომპანიის წარმომადგენელს, რომელიც დააკმაყოფილებს ამ დებულებით დადგენილ მოთხოვნებს.

4.3. კომიტეტს ჰყავს თავმჯდომარე, რომელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს ასოციაციის მმართველთა საბჭო კომიტეტის წევრთა უმრავლესობის წარდგინებით.

4.4. კომიტეტის წევრებს ამტკიცებს საქართველოს უძრავი ქონების ეროვნული ასოციაციის მმართველთა საბჭო, კომიტეტის თავმჯდომარის რეკომენდაციის გათვალისწინებით.

4.5. კომიტეტის წევრთა დასწრება კომიტეტის სხდომაზე სავალდებულოა. გამონაკლისს წარმოადგენს, კომიტეტის წევრის მიერ საპატიო მიზეზით სხდომაზე გამოუცხადებლობა, კომიტეტის თავმჯდომარის წინასწარი ინფორმირების საფუძველზე.

მუხლი 5. კომიტეტის თავმჯდომარე/თანა-თავმჯდომარე

5.1. კომიტეტის თავმჯდომარე აირჩევა კომიტეტის უფლებამოსილების ვადით და იგი კოორდინაციას უწევს კომიტეტის მუშაობას, უძღვება კომიტეტის სხდომებს.

5.2. კომიტეტის თავმჯდომარეს შესაძლებელია ჰყავდეს თანა-თავმჯდომარე, რომლის კანდიდატურას ამტკიცებს მმართველთა საბჭო, კომიტეტის თავმჯდომარის რეკომენდაციის გათვალისწინებით;

5.3. კომიტეტის თავმჯდომარის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორცილების შეუძლებლობის შემთხვევაში, კომიტეტის მუშაობას კოორდინირებას უწევს თანა-თავმჯდომარე.

5.4. კომიტეტის თავმჯდომარის და თანა-თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა შესაძლებელია მმართველთა საბჭოს გადაწყვეტილებით.

5.5. კომიტეტის თავმჯდომარე/თანა-თავმჯდომარე უზრუნველყოფს:

5.5.1. საანგარიშო წლის დასაწყისში კომიტეტის საქმიანობის წლიური გეგმის შემუშავებას და დასამტკიცებლად კომიტეტის წევრებისათვის წარდგენას;

5.5.2. საანგარიშო წლის ბოლოს, ასოციაციის მმართველთა საბჭოსათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებელი აქტივობების შესრულების ანგარიშის წარდგენას;

5.5.3 კომიტეტის გამართულად ფუნქციონირებისა და სამოქმედო გეგმის ზედმიწევნით შესრულებისათვის საჭირო ყველა მოქმედების განხორციელებას;

6. კომიტეტების წევრთა შერჩევის, დამტკიცების და წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის პროცესი

6.1. კომიტეტის წევრობით დაინტერესებულმა პირებმა უნდა გამოაგზავნონ სამოტივაციო წერილი და რეზიუმე, საამისოდ განკუთვნილ ელექტრონულ მისამართზე;

6.2. კომიტეტის წევრებად შეირჩევიან შესაბამისი გამოცდილების მქონე პირები. მხედველობაში მიიღება მსურველი კანდიდატის მსგავს სამუშაო ჯგუფებში საქმიანობის გამოცდილება და მზაობა აქტიურად იყოს ჩართული საკომიტეტო მუშაობაში, მათ შორის გამოყოს შესაბამისი დრო საკომიტეტო საქმიანობისათვის.

6.3. ასოციაციის მმართველთა საბჭოსთვის წარდგენის მიზნით, კომიტეტის წევრობის კანდიდატთა განაცხადების განხილვას, შეფასებასა და შერჩევას ახორციელებს აღმასრულებელი დირექტორი ან კომიტეტის თავმჯდომარე საჭიროების შემთხვევაში.

6.4. კომიტეტის წევრებს ამტკიცებს ასოციაციის მმართველთა საბჭო კომიტეტის თავმჯდომარის რეკომენდაციის გათვალისწინებით.

6.5. კომიტეტის წევრს შესაძლოა ვადამდე შეუწყდეს უფლებამოსილება:

6.5.1. კომიტეტის წევრის პირადი განცხადების საფუძველზე;

6.5.2. იმ ორგანიზაციისთვის ასოციაციის წევრობის შეჩერება/შეწყვეტის შემთხვევაში, რომელსაც წარმოადგენდა კომიტეტის წევრი;

6.5.3. კომიტეტის წევრის მიერ ასოციაციის წევრ ორგანიზაციასთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში;

6.5.4. კომიტეტის თავმჯდომარის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა კომიტეტის წევრის მიერ კომიტეტის წევრობისათვის განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობა, როგორიცაა:

ა) კომიტეტის სხდომების პერიოდული გაცდენა არასაპატიო მიზეზით;

ბ) კომიტეტის თავმჯდომარის მიერ წევრისთვის განსაზღვრული საქმის შეუსრულებლობა;

გ) სხვა ობიექტური გარემოება, რაც შეუსაბამოა კომიტეტის წევრობასთან.

6.6. კომიტეტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხზე მსჯელობს და საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ასოციაციის მმართველთა საბჭო.

მუხლი 7. კომიტეტის სხდომა

7.1. კომიტეტის სხდომები მოიწვევა არანაკლებ თვეში ერთხელ. სხდომის ჩატარების დრო, ადგილი და ფორმატი (დისტანციური ან ფიზიკური შეხვედრის ფორმატი) განისაზღვრება კომიტეტის თავმჯდომარის მიერ.

7.2. კომიტეტის სხდომა ასევე შეიძლება მოწვეულ იქნას ასოციაციის პრეზიდენტის ინიციატივით.

7.3. კომიტეტის სხდომის მოწვევის ორგანიზაციულ საკითხებს უზრუნველყოფს კომიტეტის თავმჯდომარე ან თანა-თავმჯდომარე.

7.4. კომიტეტის წევრებს, არაუგვიანეს 3 დღისა, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით ეცნობებათ სხდომის მოწვევის დრო, ფორმატი, ადგილი და დღის წესრიგი.

7.5. კომიტეტის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სამი წევრი მაინც; კომიტეტის თითოეული წევრი უფლებამოსილია დააყენოს წინადადება სხდომის დღის წესრიგში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

7.6. კომიტეტის სხდომაზე ხორციელდება დამსწრე წევრების აღრიცხვა, რაც შეიტანება შესაბამის ოქმში.

7.7. კომიტეტი გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით, თუ ამ დებულებით სხვა უმრავლესობა არ იქნება დადგენილი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომიტეტის თავმჯდომარის ხმა.

7.8. კომიტეტი გადაწყვეტილებებს იღებს ღია კენჭისყრით. გადაწყვეტილება შესაძლებელია მიღებულ იქნას ელექტრონული ფოსტით დადასტურებითაც, თუკი კომიტეტის წევრების სიითი შემადგენლობის უმრავლესობა ელექტრონული ფორმით გამოხატავს თანხმობას და ეს აისახება კომიტეტის სხდომის ოქმში.

7.9. კომიტეტის სხდომაზე დგება ოქმი, რომლსაც ადგენს ასოციაციის საკომიტეტო მიმართულების შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი. ოქმს ხელს აწერს კომიტეტის თავმჯდომარე ან თანა-თავმჯდომარე, რაც ადასტურებს საოქმო ჩანაწერის სიზუსტეს.

მუხლი 8. დებულების ცვლილება

წინამდებარე დებულების ცვლილებებსა და დამატებებს, აგრეთვე დებულების ახალ რედაქციას ამტკიცებს საქართველოს უძრავი ქონების ეროვნული ასოციაციის მმართველთა საბჭო.

მუხლი 9. დებულების მოქმედების ვადა

წინამდებარე დებულება ძალაშია საქართველოს უძრავი ქონების ეროვნული ასოციაციის მმართველთა საბჭოს მიერ მისი დამტკიცების დღიდან და მოქმედებს კომიტეტის საქმიანობის ვადით.

მუხლი 10. დასკვნითი დბულებები:

ყველა სკითხი, რომელიც მოწესრიგებული არ არის წინამდებარე დებულებით, ექვემდებარება ასოციაციის შიგნით განხილვისა და გადაწყვეტის წესს;